საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია
სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2015 წლის 31 ივლისის
№1648 დადგენილებით
მოდიფიცირებულია
სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2 აპრილი, 2018 წლის
№ 01-05-04/95
დადგენილებით

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა

პროგრამის ავტორი: ნათია ბუთხუზი

საკონტაქტო ინფორმაცია: ელ ფოსტა: n.butkhuzi@gtu.ge
მობ. ტელ.: 593 261 112

თბილისი
2018 წ.
ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

I. **სახელწოდება:** სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა

II. **სარეგისტრაციო ნომერი:** 10401-3

III. **მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:** სატრანსპორტო ლოგისტიკის ოპერატორის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

IV. **საკანონმდებლო ბაზა:**

- საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ;
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო;
- სატრანსპორტო ლოგისტიკის ოპერატორის პროფესიული სტანდარტი.

V. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** საბაზო განათლება

VI. **კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:**

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს ტვირთების და მგზავრთა ნაკადების გადამზიდავ ექსპედიტორულ და სატრანსპორტო - ლოგისტიკურ ფირმებში, საბაჟო-სატრანსპორტო მომსახურების საწარმოებში, სატრანსპორტო-ლოგისტიკურ ასოციაციებში, სატრანსპორტო და საექსპედიციო ფირმებში, სხვადასხვა დონის სავაჭრო-ლოგისტიკურ კომპლექსებში, სავაჭრო-შემსყიდველ და საშუამავლო ფირმებში, მზა პროდუქციის მსხვილ სადისტრიბუტორო ფირმებში, გამანაწილებელ და ლოგისტიკურ ცენტრებში, საბაჟო ტერმინალურ კომპლექსებში, საშუამავლო ფირმებში. შესაძლებელია თვითდასაქმება.

VII. **პროგრამის მიზანი:**

პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულმა იცოდეს სატრანსპორტო დოკუმენტაციის შევსება; სამზავრო და სატვირთო გადაზიდვების დაგეგმვა; შეკვეთის გაფორმება; გადაზიდვების მონიტორინგი და შეძლოს დასაქმება სატრანსპორტო - ლოგისტიკურ ფირმებში, საბაჟო-სატრანსპორტო მომსახურების საწარმოებში, სატრანსპორტო და საექსპედიციო ფირმებში, სხვადასხვა დონის სავაჭრო-ლოგისტიკურ კომპლექსებში, გამანაწილებელ და ლოგისტიკურ ცენტრებში, საბაჟო ტერმინალურ კომპლექსებში, ან თვითდასაქმდეს.

VIII. **სწავლის შედეგები:**

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- სამზავრო გადაზიდვების დაგეგმვა;
- სატვირთო გადაზიდვების დაგეგმვა;
- შეკვეთის გაფორმება;
- გადაზიდვების მონიტორინგი;
- სატრანსპორტო დოკუმენტაციის შევსება;
- ლოგისტიკური დანახარჯების გამოთვლა გადაზიდვა/გადაყვანის დროს.

IX. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

- **მოცულობა:** 98 კრედიტი
  სავალდებულო ზოგადი მოდულები 17 კრედიტი;
  სავალდებულო პროფესიული მოდულები 66 კრედიტი;
  არჩევითი მოდულები 15 კრედიტი
- **სავარაუდო ხანგრძლივობა:** 15 სასწავლო თვე

მოდულების ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს "პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

X. პროგრამის სტრუქტურა და მოდულები:

სავალდებულო ზოგადი მოდულები		**სავალდებულო პროფესიული მოდულები**		**არჩევითი მოდული/მოდულები**	
დასახელება	**კრედიტი**	**დასახელება**	**კრედიტი**	**დასახელება**	**კრედიტი**
ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3	გაცნობითი პრაქტიკა - სატრანსპორტო ლოგისტიკის ოპერატორი	2	სარკინიგზო გადაზიდვები	5
რაოდენობრივი წიგნიერება	2	საწარმოო პრაქტიკა - სატრანსპორტო ლოგისტიკის ოპერატორი	12	საავტომობილო გადაზიდვები	4
ინფორმაციული წიგნიერება 1	3	პრაქტიკული პროექტი - სატრანსპორტო ლოგისტიკის ოპერატორი	6	საზღვაო გადაზიდვები	3
მეწარმეობა 2	2	სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა	7	საჰაერო გადაზიდვები	3
უცხოური ენა	5	სამგზავრო გადაყვანების დაგეგმვა	8		
სამოქალაქო განათლება	2	სატრანსპორტო დოკუმენტაცია	6		
ქართული ენა A2	15	სატვირთო გადაზიდვების მონიტორინგი	6		
ქართული ენა B1	15	შრომითი და ეკოლოგიური უსაფრთხოება	3		
		შეკვეთის დამუშავება (გაფორმება)	5		

		ტვირთისა და გადაზიდვის სახეები	5		
		ლოგისტიკური დანახარჯები გადაზიდვა/გადაყვანის დროს	6		
სულ:	**17 (ქართული ენის გათვალისწინებით 47)**	**სულ:**	**66**	**სულ:**	**15**

XI. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება:

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.
სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:
ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.
განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

XII. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პრეროგატივას.
პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

XIII. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - XII პუნქტით გათვალისწინებული წესით.

XIV. საგანმანათლებლო დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაციები, რომლებთანაც ხელშეკრულების მეშვეობით უზრუნველყოფილია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება:

შპს ,,საქართველოს ექსპედიტორთა ასოციაცია“ (ქ. თბილისი, ყაზბეგის ქ. N12 ა) ბაზაზე.

დანართი:
1.სასწავლო გეგმა
2.მოდულები
3.პროგრამის განმახორციელებელ პირთა სია

პროგრამის ხელმძღვანელი ნათია ბუთხუზი

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის
ფაკულტეტის ხარისხის
უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მანანა მოისწრაფიშვილი

მიღებულია

სტუ-ს აკადემიური საბჭოს სხდომაზე
31.07.2015 დადგენილება №1648

შეთანხმებულია

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურთან ირმა ინაშვილი

მოდიფიცირებულია

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
ოქმი N 4, 30 მარტი, 2018 წელი

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე ოთარ გელაშვილი